Screening-Labor Hannover

Postfach 91 10 09
30430 Hannover
Internet: https://metabscreen.de
E-Mail: labor@metabscreen.de

Elterninformation georgisch

„ახალშობილთა სკრინინგი“ - თქვენი შვილის ჯანმრთელობისთვის

შესაძლებლობა ყველა ახალშობილისთვის - „ახალშობილთა სკრინინგის“ ჩატარება თქვენი შვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ახალშობილთა სკრინინგი საშუალებას იძლევა, ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს თანდაყოლილი დარღვევები და შესაბამისად, დროულად დაიგეგმოს მათი მკურნალობა.

ნივთიერებათა ცვლის, სისხლის, ენდოკრინული, იმუნური და ნერვ-კუნთოვანი სისტემის თანდაყოლილი დარღვევები - ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დარღვევისთვის არსებობს ეფექტური მკურნალობის მეთოდი. საერთო ჯამში, საშუალოდ, ცხრაასი ახალშობილიდან ერთს მაინც უვლინდება ჩამოთვლილთაგან რომელიმე სისტემის დარღვევა. დაბადებისას დაავადებული ახალშობილი შესაძლებელია ჯანმრთელად ჩაითვალოს, გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად აღნიშნული დარღვევები შეუმჩნეველია და სიმპტომები შესაძლოა გვიან გამოვლინდეს. ასეთ შემთხვევაში, დარღვევების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად სასურველია სკრინინგის ჩატარება. „ახალშობილთა სკრინინგი“ ნებაყოფლობითია. კვლევის დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მშობლების საინფორმაციო ბროშურაში, ინგლისურ ან გერმანულ ენაზე.

ადრეული დიაგნოსტიკა გადამწყვეტია - „ახალშობილთა სკრინინგის“ პროგრამა შესაძლებლობას იძლევა, რომ გამოვლინდეს ბავშვების ის მცირე რაოდენობა, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ ზემოთ აღნიშნული იშვიათი დარღვევებიდან ერთ-ერთი. ადრეულ დიაგნოსტირებასა და მკურნალობას შეუძლია ისეთი გართულებების თავიდან აცილება, როგორებიცაა გონებრივი ან ფიზიკური ჩამორჩენა, ან სიკვდილი.

კვლევისათვის საკმარისია რამდენიმე წვეთი სისხლი - აღნიშნული კვლევების ჩასატარებლად საკმარისია ახალშობილის რამდენიმე წვეთი სისხლი. კვლევისთვის მასალის ასაღებად ყველაზე კარგი დრო დაბადებიდან 36-48 საათის შუალედია. კვლევა უნდა ჩატარდეს მანამ, სანამ დედა და ბავშვი სამშობიაროდან გაეწერებიან ბინაზე. მშრალი სისხლის ბარათები მოწმდება ლაბორატორიაში ძალიან ზუსტი, სპეციალური ტესტების გამოყენებით.

თუ კვლევის შედეგი არ გამოგიგზავნეს, ე.ი. პათოლოგია არ არის - თუ ტესტის შედეგად გამოვლინდა რაიმე პათოლოგია, მშობლები დაუყოვნებლივ მიიღებენ ინფორმაციას. ჯანმრთელი ჩვილების შედეგები იგზავნება მხოლოდ სამშობიაროში, ან სამეანო დაწესებულებაში. იშვიათ შემთხვევებში, შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამატებით რამდენიმე წვეთი სისხლის აღება. ეს არ მიუთითებს რაიმე პათოლოგიის არსებობაზე, უბრალოდ, შესაძლებელია, კვლევამ არ გამოავლინოს მკაფიო შედეგი და საჭიროებდეს დაზუსტებას.

მკურნალობა - დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლოა, საჭირო გახდეს სპეციალური დიეტის დაცვა, ან მედიკამენტების მიღება. ადრეული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, მკურნალობა ძალიან ეფექტურია და როგორც წესი, მცირეწლოვანი პაციენტები ნორმალურად ვითარდებიან.

დამატებითი ინფორმაცია - სკრინინგის, ან მისი პროცედურის შესახებ დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ თქვენს გინეკოლოგს, მეან-გინეკოლოგს, ან სკრინინგის შემსრულებელ ლაბორატორიას.

თანხმობა
მშობლებისთვის განკუთვნილ საინფორმაციო ფურცლის ინგლისურ ან გერმანულ ვერსიაზე ხელმოწერით, თქვენ ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ თქვენს შვილს ჩაუტარდეს „ახალშობილთა სკრინინგი“.

Postfach:
PF 91 10 09
30430 Hannover

Adresse:
Am Steinweg 11A
30173 Hannover

Telefon: (+49) 05108-92163-0
Fax: (+49) 05108-92163-19
Internet: https://metabscreen.de
E-Mail: labor@metabscreen.de

Bankverbindung:
apoBank Hannover
IBAN: DE88 3006 0601 0706 561
BIC: DAEDDEXXX